საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/04

ქ. ბათუმი 31 იანვარი, 2023 წ.

ბსუ-ში 2023 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 ივნისის N36 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების'' მე-5 და მე-6 მუხლების, ,,ბსუ-ში 2023 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 2 დეკემბრის №01-02/283 ბრძანების, ,,2023 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი საკონკურსო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 23 იანვრის N01-02/09 ბრძანების, 2023 წლის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი საკონკურსო კომისიების ოქმების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 2 დეკემბრის №01-02/283 ბრძანების საფუძველზე ჩატარებული კონკურსის შედეგად გამარჯვებულად გამოვლენილი და ბსუ-ში **2023 წლის 1 თებერვლიდან 2023 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით** განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები:

1.1. <u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით:</u>

ა) **„„MTHFR 677 C/T გენის პოლიმორფიზმთან ასოცირებული ზოგიერთი დაავადება ხანდაზმულ ადამიანებში“** - ხელმძღვანელი/მენეჯერი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის პროფესორი, **მარინა ქორიძე,** ბიუჯეტი 20 000 ლარი (წინამდებარე დადგენილების **N1 დანართი);**

ბ) **„ჭურიის ტორფნაში მძიმე მეტალების დაგროვების ბუნება შრეების მიხედვით“** - ახალგაზრდა მკვლევარი, ხელმძღვანელი/მენეჯერი ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი **ნათელა ტეტემაძე** ბიუჯეტი- 9 970 ლარი (წინამდებარე დადგენილების **N2 დანართი);**

გ) **„ნანო სტრუქტურების ელექტრული და ოპტიკური თვისებების გამოკვლევა, ეფექტური გარემოს მეთოდების გამოყენებით“** - ხელმძღვანელი/მენეჯერი ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასოც. პროფესორი **ომარ ნაკაშიძე,** ბიუჯეტი 20 000 ლარი (წინამდებარე დადგენილების **N3 დანართი).**

1.2. <u>მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებით:</u>

დ) **„მრავლადწრფივი ექსტრაპოლაციისა და აპროქსიმაციის თეორიის ამოცანები გრანდ და მორის ტიპის ფუნქციურ სივრცეებში“ -** ხელმძღვანელი/მენეჯერი - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასოც. პროფესორი **დალი მახარაძე.** ბიუჯეტი - 19 940 ლარი (წინამდებარე დადგენილების **N4 დანართი);**

ე) **„ნივთიერების ოპტიკური თვისებების კვლევა რამდენიმე პოპულარული ქართული თეთრი ღვინის სახეობის სტატისტიკურ-კომპიუტერული ეტალონური მოდელების შექმნის მაგალითზე“ -** ახალგაზრდა მკვლევარი, ხელმძღვანელი/მენეჯერი ფიზიკის დოქტორი, ბსუ-ს მოწვეული უფროსი მასწავლებელი **მირანდა ხაჯიშვილი,** ბიუჯეტი 10 000 ლარი (წინამდებარე დადგენილების **N5 დანართი);**

1.3. <u>ინჟინერიის, ტექნოლოგიების მიმართულებით:</u>

ვ) **„ფართო დიაპაზონის ფოროვნების მაღალი მექანიკური თერმო და ქიმიურად მდგრადი მიკროფილტრაციული მემბრანების მიღება“** - ხელმძღვანელი/მენეჯერი - აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი **რაულ გოცირიძე**; ბიუჯეტი - 19 920 ლარი (წინამდებარე დადგენილების **N6 დანართი);**

1.4. <u>აგრარული მეცნიერებების მიმართულებით:</u>

ზ) **„აჭარის სუბალპურ ზონაში ადგილობრივი და ინტროდუცირებული მოცვის ნედლეულის წარმოებისა და გადამუშავების რაციონალური ტექნოლოგიების შემუშავება და დანერგვის ორგანიზაცია“** - ხელმძღვანელი/მენეჯერი აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი **ზურაბ მიქელაძე,** ბიუჯეტი - 20 000 ლარი (წინამდებარე დადგენილების **N7 დანართი);**

თ) **„ფიტოპათოგენების მიმართ ანტაგონისტი მოკროორგანიზმების შესწავლა და აქტივობით გამორჩეული იზოლატების სექვენირება“** - ახალგაზრდა მკვლევარი, ხელმძღვანელი/მენეჯერი - ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი **მაკა მურადაშვილი,** ბიუჯეტი- 10 000 ლარი (წინამდებარე დადგენილების **N8 დანართი);**

1.5. <u>ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებით:</u>

ი) **„ინოვაციური ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები რეგიონში ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევების პირობებში“** - ხელმძღვანელი/მენეჯერი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი **გიორგი აბუსელიძე;** ბიუჯეტი - 20 000 ლარი (წინამდებარე დადგენილების **N9 დანართი);**

კ) **„უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების გავლენა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე“ -** ახალგაზრდა მკვლევარი, ხელმძღვანელი/მენეჯერი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი **ეკატერინე შაინიძე;** ბიუჯეტი - 10 000 ლარი (წინამდებარე დადგენილების **N10 დანართი);**

1.6. <u>ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით:</u>

ლ) **„ბსუ-ს „ევროპარლამენტის TermCoord-ისა და corpus.bsu.edu.ge-ს ტერმინოლოგიური კოორდინაცია“** - ხელმძღვანელი/მენეჯერი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოც. პროფესორი **ზეინაბ გვარიშვილი; ბიუჯეტი** - 20 000 ლარი (წინამდებარე დადგენილების **N11 დანართი);**

მ) **„ხუცუბნის უძველეს მონადირე-შემგროვებელთა საცხოვრებელი გარემო და მათი მობილურობა ადრე ჰოლოცენის ხანაში (ძვ.წ. X- VII ათ.)“** - ახალგაზრდა მკვლევარი, ხელმძღვანელი/მენეჯერი არქეოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს მოწვეული უფროსი მასწავლებელი **გურამ ჩხატარაშვილი,** ბიუჯეტი - 10 000 ლარი (წინამდებარე დადგენილების **N12 დანართი);**

ნ) **„ქართულ-ფრანგული ანდაზების კვლევა და თემატური კრებულის შექმნა“** - ახალგაზრდა მკვლევარი, ხელმძღვანელი/მენეჯერი ფილოლოგიის დოქტორი, სამეცნიერო კვლევების სამსახურის ხელმძღვანელი და ბსუ-ს მოწვეული უფროსი მასწავლებელი **თამარ მაჭუტაძე,** ბიუჯეტი -10 000 ლარი (წინამდებარე დადგენილების **N13 დანართი);**

1.7. <u>სოციალური მეცნიერებების მიმართულებით:</u>

ო) **„ღია მმართველობა როგორც საჯარო მმართველობის რეფორმირების ახალი მოდელის შესწავლა საქართველოს მაგალითზე“** - ხელმძღვანელი/მენეჯერი - იურიდიული და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის პროფესორი **ირაკლი მანველიძე;** ბიუჯეტი 19 900 ლარი (წინამდებარე დადგენილების **N14 დანართი);**

1.8. <u>მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებების მიმართულებით:</u>

პ) **„ზოგიერთი აუტოიმუნური დაავადების განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა“** - ხელმძღვანელი/მენეჯერი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი **ლეილა ახვლედიანი;** ბიუჯეტი 19 700 ლარი (წინამდებარე დადგენილების **N15 დანართი);**

ჟ) **„ნოზოკომიური ინფექციების სპექტრის და ანტიბიოტიკორეზისტენტობის პროფილის შესწავლა COVID-19-ით ინფიცირებულ პაციენტებში”** - ახალგაზრდა მკვლევარი, ხელმძღვანელი/მენეჯერი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი **თეა ქოიავა;** ბიუჯეტი 10 000 ლარი (წინამდებარე დადგენილების **N16 დანართი);**

1.9. <u>ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულებით:</u>

რ) **„ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით შესრულებული ხელნაწერების ციფრული კორპუსი“** - ხელმძღვანელი/მენეჯერი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი **მზია ხახუტაიშვილი,** ბიუჯეტი 19 920 ლარი. (წინამდებარე დადგენილების **N17 დანართი).**

2. რექტორმა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა უზრუნველყონ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი სამართლებრივი აქტების გამოცემა/შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების”, ამ დადგენილებით დამტკიცებული გამარჯვებული პროექტების ბიუჯეტისა და გამარჯვებული პროექტების შინაარსის (აღწერილობა, კალენდარული გეგმა, ბიუჯეტი, პერსონალის თანხმობები) გათვალისწინებით.

3. გამარჯვებული პროექტების ხელმძღვანელებს/მენეჯერებს დაევალოთ **დადგენილების გამოცემიდან არაუგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა წარუდგინონ** ბსუ-ს რექტორს შესაბამისი პროექტის პერსონალის (თითოეულის ცალ-ცალკე) სამუშაო აღწერილობები, გასაცემი შრომის ანაზღაურების ოდენობის მითითებით, შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით.

4. გამარჯვებული პროექტების ხელმძღვანელებს/მენეჯერებს დაევალოთ პროექტის განხორციელების დაწყებიდან ნახევარი ეტაპის გასვლის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს **2023 წლის 15 ივლისისა** წარუდგინონ:

ა) პროგრამული ანგარიში - აკადემიურ საბჭოს;

ბ) ფინანსური ანგარიში - ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

5. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

6. წინამდებარე დადგენილება გასაცნობად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და პერსონალს (რექტორს, რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, პროექტის ხელმძღვანელებს, საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და გამარჯვებული პროექტების განმახორციელებელი ფაკულტეტების დეკანის ოფისებს).

7. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

8. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**